# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—სამშაბათი, 25 ივლისი 1900 წ. № 1191

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

## კბილის საექიმო კაბინეტი
## ნ. თ. ხორავასი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე. რაზიეზჟაია, 17, ვორონცოვის მეგლთან. ნ. 10—8


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**24 ივლისი**

**პეტერბურგი.** გროდეკოვის დეპეშა: „22 ივლისს, სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიკუნი აიღეს; მტერი ცილიკარის გზით წავიდა“. გროდეკოვი 21 და 22 ივლისს დეპეშით იტყობინება: 1) 22 ივლისს ნიუკუტუს გზის დასაზვერავად გაგზავნილია ორი პატარა რაზმი. სოფელ ეხესთან მათ შეხვდა ჩინელების რაზმი, რომელიც შესდგებოდა 1000 ქვეითი ჯარისკაცისაგან ორი ზარბაზნით და 250 ცხენოსანისაგან. ჩინელებმა სროლა ასტეხეს. ჩვენი რაზმების დასახმარებლად ჯერ გავგზავნეთ ესკადრონი, შემდეგ ორი როტა ორის ზარბაზნით. ასტყდა ცხარე ბრძოლა ეხოს სამხრეთით. ჩინელები უკუქცეულ იქმნენ და წავიდენ ნიუნგუტუსკენ. სოფ. ეხოში არც ერთი მტერი არ არის; 2) ჯარების მოქმედება ბლაგოვეშჩენსკთან და აიგუნთან: 21 ივლისს ჩვენი ჯარები ამურის მარჯვენა ნაპირზე განაგრძობდენ მოძრაობას. მტერი უკან-უკან მიდიოდა, მაგრამ ჩერდებოდა წინ და წინვე გამაგრებულ პოზიციებზე. გზაზე ვიპოვეთ მრავალი სასროლი მასალა; ყაზახებმა აიღეს ორი ფოლადის ზარბაზანი ცხენებით და სხვა მასალით, ბევრი ნიშნები, ორი ბაირაღი ზედ წარწერებით, ერთზე—„მოკრივეების ხალხი,“ მეორეზედ—„ვეხმარებით ჩჯის ევროპიელების ამოჟლეტაში.“

**კიევი.** პურის ბაზრებზე ნაკლები ვაჭრობაა, მოსავალი არ არის კარგი.

**ტიანცზინი.** ჩინელებმა გაარღვიეს მილის კედლები. ადგილები ტიანცზინსა და პეკინს შუა წყლით არის დაფარული. 30,000 „მოკრივე“ დგას ტიანცზინის ჩრდილოეთით, 8 მილის სიშორეზე. აქ ბრძოლა უნდა მოხდეს.

**შანხაი.** 22 ივლისი. ლიხუნჩანგმა თავი მოიკლა.

**ბელგრადი.** 23 ივლისს დიდის ამბით მოხდა მეფე ალექსანდრეს ქორწინება.

**პარიზი.** საფრანგეთის კონსული შანხაიდან დეპეშით იტყობინება, რომ, როგორც ლიხუნჩანგი ამბობს, ლიპეხენი პეკინში მისვლისათანავე დაინიშნა ჩრდილოეთ ჩინეთის ჯარების მთავარ-სარდლად.

**შანხაი.** შენი იტყობინება, რომ, იმპერატორის ბრძანებით, 23 ივლისიდან ელჩებს მიეცათ ნება მიწერ-მოწერა იქონიონ თავიანთ მთავრობებთან უშიფროდ; ნაბრძანებია, გაგზავნილ იქმნან ელჩები საიმედო მცველების მფარველობით ტიანცზინში.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ პარიზიდან იწერებიან, რომ აქ, ბევრის აზრით, ახლანდელი ომის უმთავრესი მიზეზი რობერტ ხარტი და ხარლზ ბერესფორდი არიან: რობერტ ხარტმა გაუშვა ჩინეთის დამოყვანში და შეიტანა სტატისტიკის წიგნებში 1,250 მანცელის ქარხნის ზარბაზანი და საფრანგეთის ერთი ქარხნის 47 ბატარეა, სულ ათასხუთასზე მეტი ზარბაზანი, რომელთა საშუალებით შეიძლება 400,000 ჯარის შეიარაღება. გარდა ამისა მანვე შეუშვა ჩინეთში 500,000 მაუზერის სისტემის თოფი და 150,000,000 პატრონა ამ თოფებისათვის. «განა რობერტ ხარტი უნდა გაჩუმებულიყო და საქვეყნოდ არ უნდა გამოეცხადებინა, რომ ჩინეთი იარაღს ისხამს და რომ რაღაც არა ჩვეულებრივად მზადდებოდა? რაც შეეხება ხარლზ ბერესფორდს, იგი უმტკიცებდა ჩინელებს, რომ მათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი და წარუდგინა მთავრობას წვრილობათი პროექტიც, თუ როგორ შეიძლება ამ გვარი ჯარის შექმნა. ინგლისს განზრახვა ჰქონდა, ჩინელი ჯარის საშუალებით თავისი მეტოქეები გამოეგდო ჩინეთიდან, მაგრამ იმედები გაუცრუვდა; სხვა უცხოელებთან ერთად, თვითონ ინგლისიც ისჯება ახლა მისის რჩევით და ცდით შექმნილი ძალისაგან».

გერმანელები კიდევ უფრო მეტ ბრალს სდებენ ინგლისს: «უნდა ვაღიაროთ, ამბობს ერთი გაზეთი, რომ აჯანყება გავრცელდა ჩრდილოეთ ჩინეთში, რომელიც აქამდის რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, და რომ ახალი მთავრობა ჩინეთისა ომს უცხადებს რუსეთს, მაშინ როდესაც ინგლისის მთავრობა, რომელიც თავიდანვე აბრკოლებდა «მოკრივეთა» წინააღმდეგ ენერგიულ ღონისძიებათა მიღებას, ახლაც საკვირველად დაწყნარებული და დამშვიდებულია, თითქოს იგი სრულებით დარწმუნებული იყოს, რომ ამის გავლენის ქვეშ მყოფ პროვინციებში მშვიდობიანობა არ დაირღვევა. ისტორიიდან კარგად ვიცით, რომ ინგლისი საერთაშორისო სიძნელეთა და უთანხმოებათა დროს, ან ხელს უშლიდა საქმის მშვიდობიან მსვლელობას, ან, საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, კითომ აჯანყებას მოახერხებდა და სარგებლობდა ამ აჯანყებით. ამიტომ ადვილი მოსასაზრებელია, რომ თუ «მოკრივეთა» მოძრაობა ინგლისის გამოწვეული არ არის, იგი სარგებლობს ამ მოძრაობით, რათა თავიდან მოიშოროს რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ჩინეთის კანონიერი მთავრობა; ინგლისს იმაზე კი არ უფიქრნია, შეიძლებს თუ არა იგი შემდეგ მისგან გამოწვეულ ავი სულების დამორჩილებას. სოლსბერ-ჩემბერლენის კაბინეტისაგან არ არის საკვირველი ამ გვარი პოლიტიკა».

∝ შანხაიდან დეპეშით იტყობინებიან: ლიხუნჩანგს მოუვიდა პეკინიდან დეპეშა, რომელმაც იგი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ამ დეპეშით მასატყობინებენ, რომ პრინცი ტუანი მოჰკლეს. ეს რამდენიმე ხანია ხმა დადიოდა, რომ «მოკრივეთა» შორის განხეთქილება ჩამოვარდა, რადგანაც აჯანყებულთა ერთი ნაწილი მიხვდა, რომ პრინცი ტუანი სარგებლობს მოძრაობით თავის პირადი ინტერესებისათვის, მაშინ როდესაც «მოკრივეების» მიზანი მანჯურიის დინასტიის ტახტიდან გადაგდება და მის მაგიერ ჩინელი დინასტიის აყვანა იყო. ტუანის მხარეზე დარჩა «მოკრივეთა» ის ნაწილი, რომლის მიზანი მარცვა-რბევაა. ახლა ბრძოლაა ატეხილი ტუანის მოძრაობასა და მოწინააღმდეგეთა შორის.

∝ საელჩოების შესახებ კიდევ არა იციან რა დანამდვილებით. უკანასკნელი დეპეშები თითქო იმედებს იძლევიან, მაგრამ დიდი გაზეთების კორესპონდენტები სანუგეშოს არას იწერებიან ჩინეთიდან. მაგ. ლონდონიდან იტყობინებიან შემდეგს: უცხოელი ბანკის ერთ აგენტს შანხაიში მიუღია ამავე ბანკის ნიუჩუანის განყოფილებიდან წერილი, რომელშიაც

იწერებიან, რომ ბანკის ერთი წარმომადგენელთაგანი ჰს-ჰს არის დაბრუნდა პეკინიდან და ამბობს, რომ არც ერთი უცხოელი ცოცხალი არ არისო. ელჩებიც ყველა დახოცილები არიანო. როცა ესენი დარწმუნდნენ, რომ სიკვდილი აუცილებელია, თავისავე ხელით დახოცეს თავიანთი ცოლშვილი. რობერტ გარტმა თავი მოიკლაო. მანჯურიდანვე იტყობინებიან, რომ უცხოელების ამოჟლეტის ამბავი კიდევ მოუტანია ერთ ჩინელ ბანკირს, რომელიც სცხოვრობდა პეკინში საკუთარ სახლში ინგლისის საელჩოს ახლო. ეს ბანკირი გამოსულა პეკინიდან 7 ივლისს და მანჯურიაში მოვიდა 25-ს.

✠ შანსის პროვინციის გუბერნატორმა მიიღო ადმირალებიდან დეპეშა, რომელშიაც აცხადებენ, რომ ჩინეთის მოხელენი იქნებიან პასუხის მგებელნი სახელმწიფოების წინაშე, თუ უცხოელებს რამე მოუვიდათ პროვინციებშიო. გუბერნატორი ისე გაბრაზებულა ამ დეპეშის მიღებით, რომ ტელეგრაფის კონტორის უფროსს თავის მოჭრას ემუქრებოდა და ტელეგრაფის მავთულების შეწყვეტა უნდოდა.

✠ რუსეთის მცოდნე პირთა აზრი ჩინეთის არეულობის შესახებ. ეს პირები განაცხადებენ ოფიციალურად; ძველებს მეტად უკვირთ, რომ ჩინეთი, ეს მშვიდობიანი და შრომის მოყვარე ქვეყანა ასე გაცხარდა და გამხეცდა. ევროპიული ზნე-ჩვეულება თავის დღეში ვერ გაიდგამს ფესვებს ჩინეთის ნიადაგში, მაგრამ გარდა პასსიური წინააღმდეგობისა მათგან მოსალოდნელი არა იყო-რა. ყველამ იცის რომ ჩინელებს სძულთ ევროპიელები, ისიც ყველამ იცის, რომ ევროპიელებმა ყველაფერი ქნეს, რომ ეს სიძულვილი გაძლიერებულიყო, მაგრამ ასეთ ენერგიულ და თავ-განწირულ პროტესტის გამოცხადებას არავინ მოელოდა. ძველები იმ აზრის არიან, რომ ეხლანდელი არეულობა გამოწვეულია გაუგებრობით, და საჭიროა ამ გაუგებრობას ბოლო მოეღოს. ახალგაზდები კი სხვა აზრის არიან. ამათ სასაცილოდაც არ ჰყოფნით, როცა ამბობენ, რომ ჩინელები წყნარი და მშვიდობიანი ხალხი არისო. ეს, შეიძლება, წინეთ იყო ასრე, ჩინელების ეხლანდელი თაობა კი აღზრდილია სიძულვილისა და შურის ძიების გრძნობებით, რომელთაც მას აგონებდენ მანდარინები. კიდეც რომ ჩააქრონ ეხლანდელი მოძრაობა, ჩინელები თავს არ დაანებებენ თავის საქმეს, თუნდ მთელი საუკუნე იმუშავებენ და ევროპაის სახელმწიფოებს ომს გამოუცხადებენ, ისარგებლებენ ევროპაის სოციალურ უთანხმოებით და ყვითელი რასა შეებრძოლება თეთრ რასას. ერთი მცოდნე პირის გამოანგარიშებით, ყვითელ რასის წარმომადგენელთა რიცხვი 800 მილიონამდე ადის. გამოჩნდება მათ შორის ერთი ატილა, და მშვიდობით ევროპავ?

ამ ორი აზრის შეთანხმება და შერიგება ადვილია: ძველები ამბობენ, რომ ჩინელები მშვიდობის მოყვარე და მომთმენი ხალხი არისო, მაგრამ ისინი გააბრაზეს და შეაგულეს ევროპიელებიო, ახალგაზდები იცნობენ მხოლოდ ამ სიძულვილით და შურის ძიების გრძნობით აღზრდილ თაობას. ახალგაზდების აზრი ერთშია შემცდარი ისინი მანდარინებს აბრალებენ ეხლანდელი ჩინელის მტრულ გრძნობას უცხოელისადმი, ნამდვილად კი თვით ევროპიელები არიან ამაში დანაშაული.

# ახალი ამბავი

✦ 20 ივლისს, როგორც გვატყობინებენ, დ. ხონში, წმ. გიორგის ეკკლესიაში დაკრძალეს გვამი ჩვენის ნიჭიერის ფელეტონისტის **ილია ბახტაძისა (ხონელი)**. დაკრძალვას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის იყვნენ დეპუტაციებიც საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდან. განსვენებულის კუბო შემკულ იქმნა 30-ზედ მეტ გვირგვინებით, რომელიც იყო გამოგზავნილი: ტფილისის ვაჭრებისაგან, გორის სინდიკატისაგან, ქიათურის ახალგაზდობისაგან, ქუთაისის, ფოთის და სოხუმის ახალგაზდობისაგან, ხონის ქალებისაგან, სოფ. ივანდიდის საზოგადოებისაგან, ხონის ინტელიგენციისაგან, ხონის ქალთა პროგიმნაზიისაგან და სხვა. დასაფლავების დღეს განსვენებულის ოჯახს ბევრი სამძიმრის დეპეშა მოუვიდა, სხვათა შორის, რუსულ მწერლის ამფითეატროვისაგან. საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს: ბ.ბ. მერკვილაძემ, მოდებაძემ, ქაჩუხოვმა, ბარკალაიამ და სხვებმა.

✦ ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი ბ-ნი **ალ. ხახანაშვილი** ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით იტალიაში იყო გაგზავნილი იქაურის არქივების გასასინჯად. ბ-ნს ხახანაშვილს უკვე დაუთვალიერებია ვატიკანის არქივი და დიდძალი მასალა შეუგროვებია საქართველოს ისტორიისა და განსაკუთრებით საქართველოში კათოლიკობის გავრცელების შესახებ. იქვე აღმოუჩენია ერთი ფრანგული წიგნი, რომელშიაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატია მოყვანილი. ამ ტრაქტატებში ორი დღემდე უცნობი მუხლიც აღმოჩენილა.

✦ პარიზიდან გვატყობინებენ: ამას წინად მთელს მსოფლიოში ცნობილ სამხატვრო აკადემიის ეგრედ წოდებულ Academie Iulian-ის ყველა განყოფილებათა მხატვრების უკანასკნელ საზოგადო კონკურსზე, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა ჩვენი თანამემამულე მხატვარი **ალექსანდრე მრევლიშვილიც**, რომლის სურათი მეოთხე ღირსებისად (quatriéme mention) იქმნა ცნობილი ყველა სურათებში. გარდა ბ-ნის მრევლიშვილისა პარიზშივე ქანდაკებასა სწავლობს ამ ჟამად ახალგაზდა სკულპტორი იაკ. ნიკოლაძე, რომელიც ამზადებს ჩვენის მწერლის ალ. ყაზბეგის ბიუსტს, მიცვალებულის საფლავზე დასადგმელად. მცოდნე პირთა აზრით, მეტად ცხოვლად არის გამოქანდაკებული მწერლის სახე.

✦ რკინის გზების ექიმთა საერთო კრებას შუამდგომლობა აღუძრავს გზათა მინისტრის წინაშე, რათა რკინის გზის ბუფეტებთან დაარსებულ იქმნას **იაფ-ფასიანი სასადილოები რკინის გზის** წვრილ მოსამსახურეთათვის.

✦ ახალის განკარგულების ძალით, ლოკომოტივების დეპოს უფროსებს აღარ შეუძლიათ გაატანონ მატარებლებს ის მაშინისტები, რომელთაც დროზე (მატარებლის წასვლის 2 საათით წინ) განაცხადეს, რომ ისინი დაღალულები არიან და მოსვენებას საჭიროებენ.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მომავალ გამოფენისთვის აურჩევია ქალაქი სანერგე მუშტაიდში, საბალოსნო სკოლის ბაღი და ბოსტანი და იქვე ორი ნაჭერი ადგილი.

✦ რუსულ გაზეთს „როსიას“ მე-442-ე ნომერში (19 ივლისი) დაბეჭდილია **ოლდ-ჯენტლმენის** (ამფიტეატროვის) **წერილი** განსვენებული **ილია ხონელის** შესახებ. წერილის ავტორი, რომელიც განსვენებულთან ერთად „ნოვოე ობოზრენიე“-ს რედაქციაში მუშაობდა, გრძნობით ლაპარაკობს გარდაცვლილ თანამოძმეზე და დიდის ქებით იხსენიებს მის ნიჭს.

✦ ს. ახალქალაქიდან გვწერენ: „შაბათს, 22 ივლისს, კნ. ნ. თარხნიშვილის თაოსნობით გამართულ იყო **საცეკვაო საღამო** ადგილობრივ მომავალ ქსენონის საშუალებათა გასაძლიერებლად. საღამოს ხალხი საკმაოდ დაესწრო და შემოსავალიც შედარებით კარგი იყო. დამსწრე საზოგადოება, განსაკუთრებით მოზარდი თაობა, მეტად ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. მომავალ შაბათს, 29 ივლისს, იმავე პირის თაოსნობით, მოწვეულია ბ-ნი საფაროვი, რომელიც დასდგამს ბუნდოვან სურათებს „ვეფხვის ტყაოსნიდან“. მადლობისა და თანაგრძნობის ღირსია კნ. ნ. თარხნიშვილისა, რომელიც გულწრფელად ხელს უწყობს სოფლის საჭიროებათ დაკმაყოფილებას“.

✦ ქარელიდან გვწერენ: „შაბათს, 22 ივლისს, გაიმართა საღამო ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მოწვეული ჰყავდათ ორკესტრი და საზანდარი. საზოგადოება გათენებამდის არ დაშლილა. შემოსავალი სამას მანეთამდე იქნებაო, ამბობენ“.

✦ გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს სახაზინო და კერძო გზებზე გაამრავლოს საავადმყოფოებისა და ექიმების რიცხვი.

✦ ამავე სამინისტროს გადაუწყვეტია, გახსნას ადგილობრივ რკინის გზების სამმართველოებთან პრაქტიკული სკოლები რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთათვის.

✦ ამავე სამინისტროში შესდგომიან იმ ღონისძიებათა გამოგონებას და შემუშავებას, რომელთა საშუალებით შემცირებულ უნდა იქმნას ეხლა ძრიელ ხშირი შემთხვევები მატარებლების დაგვიანებისა.

✦ ქ. თელავიდან გვწერენ: „წელს თელავში კარგა ხალხმა მოიყარა თავი საზაფხულოდ, თუმცა არც იმდენმა, რამდენიც წინად მოდიოდა. სამაგიეროდ წელს ბევრი გვყავს მოსწავლე ახალგაზდობა, რომელნიც ზაფხულობით გვეწვევიან ხოლმე. ეს კია, რომ მათი აქ ყოფნა თელავს არ დასტყობია: ვერ იცლიან საქმისათვის. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი ბიბლიოთეკა. მისი საქმე დაქვეითებულია. დღესა თუ ხვალ დაიკეტება კიდეც, თუ არ გამოუჩნდა ვინმე გულშემატკივარი, და ვის უნდა შესტკიოდეს მისთვის გული, თუ არ ჩვენსავე შვილებს! ესენი ცეკვა-თამაშს უნდებიან“!

✦ იქიდანვე გვატყობინებენ: „ივლისის ნახევარში სიღნაღიდან მოვიდნენ **სომხის არტისტი** ოგანიანი და ქ.ბ-ნნი მელიქიანი და არუტინიანი, რომელთაც ადგილობრივი სომხების სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართეს ორი წარმოდგენა და რომელსაც თელაველი სომხები ისეთ სიხარულით და თანაგრძობით მიეგებნენ, რომ მეტი აღარ იქნებოდა. ორივე წარმოდგენას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ მაღლიდან პანტა ჩამოვარდნილიყო, დაბლა არ

დაეცემოდა, თუმცა ბევრმა აქაურმა სომხებმა სომხური სრულებით არ იციან."

✦ ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ნ. წერეთლისაგან შემდეგი წერილები: „ჩვენი მეაბრეშუმეობის უმთავრესი სატკივარი არის საღი თესლის უქონლობა. როგორც ყველა სატკივარს, ამასაც წამალი უნდა მოეძებნოს. საღი თესლის მოპოვებას უნდა ცდილობდეს, რასაკვირველია, მეაბრეშუმე, ვისაც საქმედ გაუხდია უხსოვარი დროიდან ჭიის დაჯენით და მოვლით პარკის მოწევა. ჩვენებური მეაბრეშუმეები არიან ჩვენი ქალები, მეოჯახე დედა-კაცები. ამ საქმეში ესენი მოთავეობენ, ესენი წინამძღვრობენ მამა-კაცებს და ოჯახის დანარჩენ ჯალაბობას.

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა მიჰმართავს ქალებს და მოუწოდებს მათ, რათა ამხანაგობასთან ერთად იღონონ, ისაშვალონ, რომ მოპოვებულ იქმნეს მათთვის აბრეშუმის ჭიის საღი, უავადმყოფო, ჯანმრთელი თესლი. ამხანაგობა ამისთვის გამართავს თითოეულ ცალკე სოფელში მეაბრეშუმეთა კრებას. ამ კრებებს უნდა დაესწრონ თითოეული სოფლის მეაბრეშუმეები. ამათ უნდა გამოიტანონ კრებაში, თუ კი აქვთ შენახული, აბრეშუმის თესლის ძველი კოლოფები. კრებაზე მოვილაპარაკებთ, თუ რა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ აბრეშუმის ჭიის უტყუარი თესლი მოვიპოვოთ. კრებები მოხდება, უქმე თუ საქმე დღეებში—განურჩევლად, სოფლის სკოლებთან ანუ ეკკლესიის ეზოგალავანში. დრო და ადგილი კრებისა წინდაწინ ეცნობება სოფელს. იმედია, რომ ჩვენი მეაბრეშუმეები აქაც გამოიჩენენ ჩვეულებრივს დაუზარებლობას ქალიან-კაციანად, ყველა მობრძანდება კრებაში და საზოგადო საჭიროებას შეერთებული ძალ-ღონით გაუმკლავდება ამხანაგობის წინამძღოლობით და დახმარებით".

„მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა, როგორც ყველა აქაური თვალსაჩინო მოვაჭრეებიპარკისა, ასაღებს პარკს საზღვარ-გარედ და ისე აქვს იქ საქმე დაჭერილი, რომ ყოველთვის ნამდვილ ფასს აიღებს ამ ნაწარმოებში, რა ფასიც კი ექნება მას საქვეყნო ბაზარზე. ამიტომ ამხანაგობა ურჩევს იმ წვრილ მოვაჭრეებს, ვისაც პარკის გასახმობად ფარდულები არა აქვთ, რომ ამათაც ამხანაგობასთან დაიჭირონ საქმე, ამას ჩააბარონ გასასყიდად თავიანთი საქონელი და დღეს ფასის ანგარიშში ის მიიღონ, რასაც მეაბრეშუმე ამხანაგები სჯერდებიან ამხანაგობას, ესე იგი ფუთ პარკში თითო თუმანი, ხოლო გაყიდვის შემდეგ დამატებითი ფასი, რასაც გაყიდულობა მოიტანს. არა ნაკლებს მოიგებენ ამხანაგობასთან საქმის დაჭერით ის პარკის მოვაჭრეები, რომლებიც თუმცა პარკს ახმობენ, მაგრამ გამხმარ პარკს აქვე ადგილობრივ ჰყიდიან მსხვილ მოვაჭრეებზე. შარშან, მაგალითად, მათ გაჰყიდეს ხმელი პარკი კერძო მოვაჭრეებზე, უმეტესობამ 52 მან., ზოგმა 53 მანეთად. ამხანაგობას კი თვითოეულ ფუთში, ყოველ, აქედან იქ წაღების, ხარჯების გამორიცხვის შემდეგ, მოუვიდა 58 მანეთი და 50 კაპ.; აქ გამორიცხულია ხარჯები პარკის წაღებისა, იქაური საწყობებისა, საკომისიო, ჩვენი ორი კაცის წასვლა მოსვლის, აქ პარკის გადარჩევისა, ტომრებისა და სხვა წვრილმანი. ეს 58 მანეთი და 50 კაპ. შეხვდა ამხანაგობას ფუთ ხმელ პარკში ისე, როგორც სხვებმა აქ, ადგილობრივ, აიღეს 52 მანეთი იმ განსხვავებით კი, რომ ამხანაგობის შარშანდელმა პარკმა, აქაური ხმელი ზაფხულით გამომხმარმა, საზღვარგარედ მოიმატა წონაში ას ფუთზე სამი ფუთი. უეჭველია, რომ ეს სამი პროცენტი აქ პარკის გამყიდველებმა მყიდველების სასარგებლოდ დაჰკარგეს და მაშინ მათი პარკის ფასი 52 მანეთიდან 50 მანეთამდის ჩამოდის. რაღა თქმა უნდა, რომ განსხვავება დიდია ამხანაგობისაგან აღებულ და აქაურ ფასებს შუა, ფუთზე ხუთიდან რვა მანეთამდის! ვისაც ესურვება ამხანაგობასთან საქმე დაიჭიროს, მას პირადად მოელაპარაკება მმართველი ამხანაგობისა."

იმედია, ჩვენი მეაბრეშუმეები ყურადღებას მიაქცევენ ამ მოწოდებას და მოიქცევიან თანახმად საკუთარ და „ამხანაგობის" ინტერესებისა. აქ ეს ინტერესები განუყოფელნი არიან.

---

**ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ტფილისის საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება ა. ს. პუშკინის სახელობაზე.**

# წესდების პროექტი *)

## V საზოგადოების მოქმედება

§ 16. სესხი მიეცემა წევრს იმ პირობით, რომ ყოველ თვე იხადოს ნაწილ-ნაწილად და თანასწორათ. უდიდესი ჯამი სესხისა ყოველ წლივ უნდა აღნიშნოს საზოგადოებამ. სესხის გადახდის ვადა არ უნდა გადასცილდეს 6 თვეს; სარგებელი გადახდება ნახევარი კაპეიკი მანეთზე.

§ 17. თუ წევრს სესხი უთავდებოდ გააქვს, მაშინ სესხის რაოდენობა არ უნდა აღემატოს იმ თანხას, რომელიც მსესხებლის სახელზეა საზოგადოების კასაში.

§ 18. თავდებს შეუძლია თავდებად იყოს მესხის იმდენის ჯამისა, რამდენიც თვითონ შეუძლია ისესხოს უთავდებოდ.

§ 19. სარგებელი მსესხებელს გამოერთმევა წინდა წინვე, სესხის წაღების დროს, სრულიად—იმ ანგარიშით კი, რომ პირველ თვეში სარგებელი აღებულ იქმნას მთელის სესხისა, შემდეგ თვეში კი მხოლოდ დარჩენილის ვალისა.

§ 20. თუ მსესხებელმა დროზედ ვერ მოასწრო მთელის ვალის გადახდა, მას შეიძლება მიეცეს კიდევ ვადა, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა. ახალის ვადის მიცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების კასსის მოქმედებას დაბრკოლება არ მიეცემა ამით.

§ 21. ახალის ვადის დროს მსესხებელი იმდენსავე სარგებელს იხდის, რამდენსაც წინად იხდიდა; გარდა ამისა მას გადახდება ჯარიმა $^{1}/_{2}$% დარჩენილის ვალისა.

§ 22. თუ შეუძლებელი შეიქმნა ახალის ვადის დანიშვნა სესხის გადასახდელად ან თუ მსესხებელმა სესხი ვერ გადიხადა ახალი ვადის გასვლამდე (§ 20), მაშინ გამგეობა დაუყოვნებლივ ჰფარავს მსესხებლის ვალს იმ ფულით, რომელიც არის საზოგადოების კასსაში მსესხებლისა და მისი თავდების სახელზე.

§ 23. გამგეობის წევრთ და აგრეთვე მის კანდიდატებს, როდესაც უკანასკნელნი გამგეობის წევრობას ასრულებენ, შეუძლიათ აიღონ სესხი მხოლოდ სხვა ნამდვილ წევრების თავდებობით, რადგანაც მათი თანხები კასსაში გარანტიას აძლევენ საზოგადოებას, რომ მათთვის ჩაბარებული ფულები და ქონება საზოგადოებისა მთელად იქნება.

§ 24. თუ მსესხებელს ჰმართებს რამე „საზოგადოების" (ან წინანდელი სესხისა ან მომხმარებელ დაწესებულებისა და სხვა), მაშინ ეს ვალი მას გამოერიცხება აღებულ სესხიდან.

## VI. შემწეობა

§ 25. საზოგადოება აძლევს ნამდვილ წევრთ მუდმივ შემწეობას (ესე იგი პენსიას) და დროებით შემწეობას. დროებითი შემწეობა ან დაუბრუნებლად მიეცემა წევრთ, ან იმ პირობით, რომ შემდეგში დაუბრუნოს საზოგმდოების კასსას.

§ 26. შემწეობის გაცემას დაიწყებს საზოგადოება: დროებითი შემწეობისას—არა უახლოვეს ორი წლისა საზოგადოების დაარსების შემდეგ, ხოლო მუდმივისა (პენსიების) არა უახლოვეს 15 წლისა.

§ 27. მუდმივ შემწეობის (პენსიის) გაცემა მოხდება იმ წესებისა და პირობების ძალით, რომელთაც შეიმუშავებს საზოგადო კრება.

§ 28. დროებითი შემწეობა, რომელიც შემდეგ წევრმა უსარგებლოდ უნდა დაუბრუნოს საზოგადოებას, მიეცემა წევრს გამგეობის დადგენილებით შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ წევრმა ადგილი და სამუშაო დაჰკარგა დროებით; ბ) თუ უეცრად ავად გახდა ან თვითონ ან ოჯახის რომელიმე წევრი, რამაც გამოიწვია მოულოდნელი ხარჯი და გ) თუ წევრი, ან ვინმე მისი ოჯახიდან გარდაიცვალა. რაოდენობა ამგვარ შემწეობისა და ვადა, როდესაც უნდა დაუბრუნდეს იგი საზოგადოებას, უნდა აღნიშნოს თვით გამგეობამ იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია საზოგადოების კასსა და ქონებრივი მხარე შემწეობის მიმღებისა. ყოველ შემთხვევაში დროებით შემწეობის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ ჯამს, რომელსაც აღნიშნავს საზოგადო კრების მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია.

**შენიშვნა:** საზოგადო კრებას ნება აქვს არ დააბრუნებინოს შემწეობა საზოგადოებისათვის პატივსადებ მიზეზებისა გამო.

§ 29 დაუბრუნებელი შემწეობა მიეცემა წევრს, ზედამხედველ კომიტეტის დადგენილებით, უკიდურეს გაჭირვების დროს; მაგალითად: თუ წევრი, მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, დიდხანს უადგილოდ და უსაქმოდ რჩება, ან მძიმედ და დიდი ხნით დაავადმყოფდა და სხვა. ამგვარ შემწეობის მიცემა შეიძლება ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო თუ საჭირო იქმნა შემდეგაც, მაშინ საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს.

§ 30. ნამდვილ წევრის ქვრივსა და ობლებს აქვთ ნება მიიღონ დროებითი შემწეობა, თუ წევრი საზოგადოებაში იყო არა ნაკლებ ორი წლისა.

**შენიშვნა.** დროებით შემწეობის მიღების ნება აქვთ აგრეთვე მცირე წლოვან მსახურთ და მომუშავეთ სტამბებში, ლიტოგრაფიებში და სხვა ამ გვარ დაწესებულებებში.

§ 31. იმ წევრის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მუდმივ შემწეობას (პენსიას) იღებს, პენსიის მიღების უფლება გადადის მის შვილებზე და ცოლზე. ქვრივი, რომელიც გათხოვდება და შვილები, როდესაც 16 წლის შეიქმნებიან, ჰკარგავენ პენსიის მიღების უფლებას.

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 1188.

§ 32. საზოგადოება ცდილობს მოიპოვოს საშუალება ნამდვილ წევრთა ობლების აღსაზრდელად, სასწავლებლებში ან სახელოსნოებში მათ მისაცემად და სხვა; ზრუნავს აგრეთვე გარდაცვალებულ წევრთა მოხუცებულ და დავრდომილ მშობლებისათვის.

### VII საზოგადოების საწარმოებელი საქმე

§ 33. საზოგადოებას ნება აქვს დაარსოს საკუთარი სტამბა, ლიტოგრაფია და სხვა ამ გვარი დაწესებულება, შეიძინოს უძრავი ქონება და აგრეთვე გამართოს ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, წარმოდგენები და სხვა.

§ 34. ამ საქმეების მოწყობის და მათი წაყვანის წეს-რიგი უნდა შეიმუშაოს საზოგადო კრებამ.

(დასასრული იქნება)

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 21 ივლისს

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 97¹/₄ |
| 4¹/₂°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 100 | — |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98¹/₄ | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 319 |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 270¹/₄ |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 208 |
| 3¹/₂°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 89¹/₂ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4¹/₂°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . | — | — | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | 97¹/₂ | — | — |
| 4¹/₂°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

### ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8¹/₂ კ.
სუკი . . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8¹/₂ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამბეჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » — 10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3¹/₂ «
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3¹/₂ «
ლავაში ჯგ. მამ. I » » » 6 «
» » II » » » 4 «

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე, ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1— | 5— |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . | 1 | — | 65 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ.60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსიისკში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსისკში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფეშხვილი „ 4 „ 80 “

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10°/₀ შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჟუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საავარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჯის დიდი ქუჩა, № 27.